



საზეიმო ტორტის გაჭრით, ქედების მაღლა აყრითა და სამახსოვრო ფოტოების გადაღებით დასრულდა.

2022 წელს უნივერსიტეტმა გეომედმა კურსდამთავრებულთა კიდევ ერთი ნაკადი საზეიმო ცერემონილით გააცვილა. ღონისძიება გახსნა და მათ გზა დაულოცა უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა მარინა ფირცხალავამ. ღონისძიებაზე სტუდენტებს გადაეცათ სერტიფიკატები. მათ უნივერსიტეტის დამთავრება მიულოცეს ფაკულტეტის დეკანებმა, ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა და პროფესორ-მასწავლებლებმა. კურსდამთავრებულებმა მადლობა გადაუხადეს აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალს განუვლი შრომისათვის. ღონისძიება



გეომედელი იმედა გოგოლაძე მსოფლიო ჩემპიონი გახდა



2022 FISU University World Cup Combat Sports

საერთაშორისო საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციის (FISU) ორგანიზებულ სტუდენტური თასის მსოფლიო ჩემპიონატზე სამბოში, რომელიც 2022 წლის სექტემბერში თურქეთის ქალაქ სამსუნში გაიმართა, უნივერსიტეტ გეომედის მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტმა, იმედა გოგოლაძემ ოქროს მედალი მოიპოვა.

პირველი ასპარეზობა მასპინძელ თურქ სტუდენტთან ერგო. მასპინძელთან შეხვედრას, ბუნებრივია, უდიდესი ფსიქოლოგიური დატვირთვა ჰქონდა, თუმცა, იმედს 30 წამი არ დასჭირვებია, რომ ულაშაზესი ვდებით მოვგო ეს ორთაბრძოლა. მისი ცნობილი და უკვე ლეგენდარული ე.წ. „მტკივნეული“ ილითებით მოიგო შემდეგი



ორი ბრძოლაც - მეორე შეხვედრა ყირგიზ სპორტსმენთან და ფინალი - უკრაინელთან.

იმედს გეომედელი მეგობრები უფლის სასწაულ რაინდსა და სიბრძნით, სიღინჯითა და ვაჟკაცობით კეთილ ლომს ეძახიან. ის ნამდვილად საქართველოს იმედია, თავისი სიკეთით სავსე ვაჟკაცი გულით. უმრავლეს საქართველოს იმედს დარი ახალგაზრდები.

უნივერსიტეტ გეომედის დიპლომირებული მედიკოსის კურსდამთავრებულების კიდევ ერთმა ნაკადმა წარმატებით საექიმო საქმიანობისათვის სავალდებულო FMGE/MCI წარმატება, რომელმაც ინდოეთის მაშტაბით მესამე ადგილი



ერთსაფეხურიანი ინგლისურენოვანი პროგრამის ჩააბარა ინდოეთის რესპუბლიკაში დამოუკიდებელი გამოცდა. განსაკუთრებით აღსანიშნავია მოპიტ პანჯანის დაიკავა ადგილები ქულების რაოდენობით.



აზროვნების ჩამოყალიბებაში. ყოველთვის ვგრძნობდი ლექტორების მხარდაჭერას და გვერდში დგომას ნებისმიერ სიტუაციაში. მათი დახმარებით და დაუღალავი შრომით ყველაფერი რთული მარტივი ხდებოდა.

მინდა მადლობა გადავუხადო უნივერსიტეტის ადმინისტრაციას და ლექტორებს. წარმატებას ვუსურვებ ყველა სტუდენტს.

ანნა ხარებავა
სტომატოლოგიის ფაკულტეტის კურსდამთავრებული



თანამშრომლებს, რომლებიც მხარში გვედგნენ და ყველანაირად გვეხმარებოდნენ სწავლის პერიოდში.

წარმატებებს ვუსურვებ თითოეულ სტუდენტს და უნივერსიტეტ გეომედს.

რაჯუ კუმარი ჰემათკარ მოჰან კუმარი
მედიცინის ფაკულტეტის კურსდამთავრებული

დავამთავრე უნივერსიტეტ გეომედის მედიცინის ფაკულტეტი. ბედნიერი ვარ, რომ ცხოვრების ამ ეტაპს მივალწიე. უნივერსიტეტი ძალიან დაგვეხმარა პიროვნულ განვითარებასა და სასწავლო პროცესის წარმატებით დამთავრებაში.

მადლობა მინდა გადავუხადო ლექტორებს და ადმინისტრაციის თანამშრომლებს, რადგან მათგან ყოველთვის ვგრძნობდი მეგობრულ დამოკიდებულებას და მხარდაჭერას. ასევე, მადლობას ვუხდის ბიბლიოთეკის



უნივერსიტეტში გატარებული წლები განსაკუთრებული ეტაპია ყველა სტუდენტისათვის. გარემო, რომელიც იქ გხვდება, ახალი სამყარო, რომელსაც აღმოაჩენ და ის შესაძლებლობები, რომლებიც შენ წინ იშლება. ჩემი ცხოვრების ერთ-ერთ საუკეთესო პერიოდს სწორედ გეომედს დაუკავშირებდი. უნივერსიტეტი იყო განათლების წყარო, საიდანაც ჩემი კარიერა დაიწყო. ეს არის ადგილი, სადაც ერთმანეთს ემთხვევა სურვილი და შესაძლებლობა.

გულწრფელი მადლიერება მინდა გამოვხატო ადმინისტრაციის, თანამშრომლების და იმ ლექტორების მიმართ, რომლებიც აქტიურად იყვნენ ჩართულნი სტუდენტების პროფესიული და პიროვნული განვითარების პროცესში და გვთავაზობდნენ ჩვენს შესაძლებლობებსა და ინტერესებზე მორგებულ სასწავლო პროცესს.

წარმატებებს ვუსურვებ უნივერსიტეტის თითოეულ წარმომადგენელსა და სტუდენტს! მჯერა, რომ ერთმანეთის იმედებს ყოველთვის გავამართლებთ.

თათია ბერძნიშვილი - ჯანდაცვის ეკონომიკისა და მენეჯმენტის ფაკულტეტის კურსდამთავრებული



2022 წლის 24 ივნისს, უნივერსიტეტ გეომედში ჩატარდა სტუდენტთა თეორიულ-პრაქტიკული კონფერენცია, რომელზეც მოხსენებები წარმოადგინეს უნივერსიტეტის სტუდენტებმა.

სტუდენტების მრავალფეროვანი და საინტერესო პრეზენტაციების შემდეგ, წარდგენილი თემების შესახებ გაიმართა დისკუსია. კონფერენციის ბოლოს კომისიამ შეაფასა და გამოავლინა საუკეთესო მოხსენებლები:

- I ადგილი** – ნინო ტულუში (სტომატოლოგიის ფაკულტეტი, IV კურსი, ხელმძღვანელი - მაია ჯერვალიძე)
- II ადგილი** – გიორგი კვეკელია (ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტი, II კურსი, ხელმძღვანელი - ლელა აფციაური);
- III ადგილი** – თათია ბერძნიშვილი (ჯანდაცვის ეკონომიკისა და მენეჯმენტის ფაკულტეტი, IV კურსი, ხელმძღვანელი - გურამ ამცოლაძე);
- უიურის სიმპათია** – სვარალი ჩოლენკარ (მედიცინისა ფაკულტეტი, III კურსი, ხელმძღვანელები - ხათუნა მაკალათია, ნინო გრძელიშვილი).

მონაწილეებს გადაეცათ სერტიფიკატები. გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ სტიპენდიებით. კონფერენციის მასალები დაიბეჭდება კრებულში „სტუდენტთა თეორიულ-პრაქტიკული კონფერენციის მასალები“.

<p>დახელოვნებისა და რეზიდენტურის სამსახურის ორგანიზებით, 2022 წლის 6-8 ივლისს, ჰიბრიდულ რეჟიმში გაიმართა ვორქშოპი თემაზე: PBL და CBL სწავლების მეთოდები. სამუშაო შეხვედრაში მონაწილეობას იღებდნენ მედიცინისა და სტომატოლოგიის ფაკულტეტების აკადემიური და მოწვეული პერსონალი. შეხვედრაზე განიხილეს პრობლემებზე და ქვისზე დაფუძნებული სწავლების, სასწავლო კურიკულუმში ინტეგრირების აქტუალური საკითხები სხვადასხვა დისციპლინების მაგალითებზე.</p> <p>მსგავსი ვორქშოპები მიზნად ისახავს პროფესორ-მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობას.</p>	<p>2022 წლის 15 ივლისს, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორმა, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა და უნივერსიტეტ გეომედის აფილირებულმა პროფესორმა - რევაზ ლორთქიფანიძემ ჩაატარა სემინარი თემაზე „სრულყოფილი კონკურენცია და დაბალანსებული რეგულირება“. შეხვედრაზე განიხილული იყო მსხვილი მენარმეების „უნიფარი“ (ძალადობრივი) დანაწევრება და მსხვილ, საშუალო და მცირე მენარმეობას შორის ბალანსის არსებობის საჭიროება. სემინარის ბოლოს გაიმართა დისკუსია.</p>
---	---



2022 წლის ზაფხული ნაყოფიერი და წარმატებული აღმოჩნდა უნივერსიტეტ გეომედის სტუდენტებისათვის. მათ წარმატებით იასპარეზეს „თბილისის სტუდენტური თასი 2022“-ის ფარგლებში ჩატარებულ ჩემპიონატში, რომელიც საქართველოს საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციის ორგანიზებით ჩატარდა.

ოქროს მედალი ქართულ ჭიდაობაში

2022 წლის 20 ივნისს ჩატარდა ჩემპიონატი ქართულ ჭიდაობაში, რომელშიც ოქროს მედლის მფლობელი გახდა მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტი - იმედა გოგოლაძე. მედლამდე ერთი გამარჯვება დააკლდა ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტის სტუდენტს გიორგი კორაშვილს. ქართულ ჭიდაობაში გუნდური შედეგებით „გეომედი“ მე-3 ადგილზე გავიდა.

ოქროს მედალი ძიუდოში

2022 წლის 18 ივნისს, ჩემპიონატი ჩატარდა ძიუდოში, რომელშიც ოქროს მედლის მფლობელი გახდა მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტი - იმედა გოგოლაძე. ძიუდოში გუნდური შედეგებით „გეომედი“ მე-3 ადგილზე გავიდა.


ვერცხლის მედალი სამბოში

2022 წლის 15 ივნისს საქართველოს საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციის „თბილისის სტუდენტური თასი 2022“-ის ფარგლებში ჩატარდა ჩემპიონატი სამბოში, რომელშიც ვერცხლის მედლის მფლობელი გახდა მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტი - იმედა გოგოლაძე.

ჭადრაკი

2022 წლის 10 ივნისს, საქართველოს საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციის „თბილისის სტუდენტური თასი 2022“-ის ფარგლებში ჩატარდა ჭადრაკის ჩემპიონატი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტებმა, ვაჟებს შორის კუმარ კოპალმა, გოგონების შორის ბანსარი პრაკაშჩანდრა პატელმა და ჯუპი შაჰმა.

„თბილისის სტუდენტური თასი 2022“ სპორტის 15 სახეობას მოიცავს და აერთიანებს საქართველოს მასშტაბით 34 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტებს. ამ დროისთვის, საერთო გუნდურ ჩათვლაში 4 სახეობაში მოპოვებული 5 მედლით (2 ოქრო, 1 ვერცხლი, 2 ბრინჯაო) „გეომედი“ მე-3 ადგილს იკავებს.



გამოვიდა უნივერსიტეტ გეომედის ექიმ-სტომატოლოგის, ალექსანდრე ლეონიძის სახელმძღვანელო „გაუტკივარება ამბოლატორიულ სტომატოლოგიაში და კბილის ექსტრაქცია“. წიგნში გასაგებ ენაზე დანვრისებით განხილულია ქირურგიული კაბინეტის ორგანიზაცია პოლიკლინიკის პირობებში, გამოკვლევის მეთოდები, სტერილიზაციის საკითხები, ყბა-სახის მიდამოს ანატომია, ზოგადი და ადგილობრივი გაუტკივარება, კბილების ექსტრაქცია და მათი გართულებების და მკურნალობის მეთოდები. სახელმძღვანელო გამოიცა უნივერსიტეტ გეომედის დაფინანსებით და შედგენილია უმაღლესი განათლების პროგრამის მიხედვით.

სახელმძღვანელო განკუთვნილია სტომატოლოგიისა და სამედიცინო ფაკულტეტების სტუდენტებისათვის, ექიმ-რეზიდენტებისათვის და დამწყები ექიმ-სტომატოლოგებისათვის. წიგნი ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.